ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №4

ქ. თბილისი 21 იანვარი 2013წ.

შ.პ.ს. „მაგთიკომი" წარმოდგენილი მისი ბათუმის ოფისის მენეჯერის გიორგი ხაბაძის სახით, რომელიც მოქმედებს შპს "მაგთიკომის" გენერალური დირექტორის **მოადგილის ანდრია ზოდელავას** მიერ 2013 წლის 3 იანვრის გაცემული მინდობილობის საფუძველზე. შემდგომში *გამყიდველი*, ერთის მხრივ და სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ს. აჭარისწყლის საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლელა გორგოშაძეს** , შემდგომში – *მყიდველი*, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 70 (სამოცდაათი) ლარის **მონო ბარათების** შესყიდვა.

1.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *გამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

2.1.a გადაუხადოს *გამყიდველს* მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

2.2.ა ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით;

3.2 *მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *გამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელომოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 28 **თებერვლამდე**.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

8.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია სამ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ორი პირი მყიდველს. სამივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

გამყიდველი:	მყიდველი:
<u>იურიდიული მისამართი</u>	<u>იურიდიული მისამართი</u>
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №5	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი აჭარისწყალი
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>	<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
ს.ს. "ვითიბი ბანკი"	ს.ს. "რესპუბლიკა ბანკის" ბათუმის ფილიალი
ცენტრალური ფილიალი	
ა/ა GE73VT6600000000423607;	ა/ა GE49BR0500003408000085
კოდი: UGEBGE22	ბანკის კოდი: REPLGE22
საიდენტ. კოდი: 204876606	საიდენტ. კოდი: 248386777
	საკონტაქტო ტელ: 577 304250
მენეჯერი	დირექტორი
(გ. ხაბაძე)	(ლ[illegible] გორ[illegible]მაძე)